

მოქალაქეების აზრი, თუ რა გავლენა მოახდინა COVID-19-მა დემოკრატიულ განვითარებაზე:

რამდენად იქონია გავლენა COVID-19 კრიზისმა დემოკრატიულ დებატებზე, ქალთა ფუნდამენტურ უფლებებზე გენდერული პერსპექტივით? მან მოახდინა გავლენა ადამიანების ცხოვრებაზე და მრავალი არასასურველი ფორმით გამოიხატა, რამაც გამოიწვია მრავალი სიკვდილი, იმოქმედა გლობალურ ეკონომიკასა და დასაქმებაზე, საზოგადოებაში ცხოვრების ხარისხზე. 2022 წლის 16 ნოემბერს, ALDA-მ და [ვიმერკატეს მუნიციპალიტეტმა](#) (IT) მონაწილეობა მიიღეს ახალი პროექტის CERV გახსნით ღონისძიებაზე, სახელწოდებით "HEARD", რომელიც ზუსტად ეხმაურება ზემოთ აღნიშნულ თემებს.

მოქალაქეთა აზრი, თუ რა გავლენა მოახდინა COVID-19-მა დემოკრატიულ განვითარებაზე: მიიღეთ მონაწილეობა პროექტის "HEARD" გამოკითხვაში.

აუცილებელია მოქალაქეებთან კომუნიკაცია, რაც მათ საშუალებას მისცემს **გამოხატონ თავიანთი აზრი** და ხელი შეუწყონ **ქვემოდან ზევით მიდგომას**. ამიტომ, ALDA-მ და ვიმერკატეს მუნიციპალიტეტმა შეადგინეს 3 სახის გამოკითხვის კითხვარი იმის გასარკვევად, თუ როგორ იმოქმედა COVID-19-ის კრიზისმა:

- დემოკრატიული დებატები
- ძირითადი უფლებებით სარგებლობა
- ქალების სამუშაო-პირადი ცხოვრების ბალანსი

თუ გსურთ გამოხატოთ თქვენი მოსაზრებები და პირდაპირ ჩაერთოთ პროექტში (CERV), მაშინ ეს შესანიშნავი შესაძლებლობაა თქვენთვის მიიღოთ მონაწილეობა გამოკითხვაში! კითხვარის შევსებას მხოლოდ რამდენიმე წუთი დასჭირდება, მაგრამ გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია არსებითად მნიშვნელოვანია იქნება მდგომარეობის შესასწავლად და პროექტის შემდგომი აქტივობების გასაგრძელებლად. *[გთხოვთ გაითვალისწინოთ: ქვემოთ მოცემულია კითხვარი მხოლოდ იტალიის ჩრდილოეთ რეგიონში მცხოვრები ადამიანებისთვის].*

ბმულები კითხვარების შესავსებად (იტალიურ ენაზე)::

- გამოკითხვა 1: <https://forms.office.com/e/aeDzWP5EwS>
- გამოკითხვა 2: <https://forms.office.com/e/Ecm4NPuQgS>
- გამოკითხვა 3: <https://forms.office.com/e/Z18KUnmAwP>

თუ არ ხართ იტალიელი, მაგრამ მაინც დაინტერესებული ხართ პროექტის შესახებ შეიტყობთ მეტი, აქტივობების და შედეგების შესახებ გამოგვყევით შემდეგ ბმულებზე:

[🌐 https://heard-project.eu/](https://heard-project.eu/)

[📷 heard_euproject](#)

[📺 HEARDeuproject](#)